ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №524775

ნომერი: AR1104509

თარიღი : 22.01.2013

გაცემის თარიღი : 30.01.2013

გაცნობის თარიღი : 30.01.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 12ა , კორპუსი N5 , და არალეთის ქუჩის და ყოფილი საბავშვო ბაღის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნესტანი ჩხაიძე პ/ნ 01019070590
- თბილისი ბჟოლეთის ქ. N 1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის საფუძველზე გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ #257337 (AR163967) ბრძანებით და სანებართვო მოწმობით შეთანხმებულია და გაცემულია მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. #12ა-ში, კორპუსი #5-სა და არალეთის ქუჩის და ყოფილი საბავშო ბაღის მიმდებარედ, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის

ნაკვეთზე (ს/კ 01.12.08.021.017) მრავალბინიანი სახოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის მშენებლობისათვის, ხოლო აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტში #504933 (AR1102365) ბრძანებით შევიდა ცვლილება, კერძოდ: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 10 ივლისიდან 2013 წლის 10 ივლისის ჩათვლით", შეიცვალოს ჩანაწერით ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 25 იანვრის ჩათვლით".
ამასთან გაცნობებთ, რომ 2013 წლის 10 იანვრის AR1102356 ელექტრონული განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ირაკლი ლომთათიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. #12ა-ში, კორპუსი #5-სა და არალეთის ქუჩის და ყოფილი საბავშო ბაღის მიმდებარედ, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.08.021.017), I კლასის 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის კორექტირება.
,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურის მიერ #513686 გადაწყვეტილებით მოხდა წერილობითი დადასტურება აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად.
აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ–გვერდის მეშვეობით, შეხვალთ tas.ge-ზე შემდეგ ინტერაქტიულ რუკაზე და ძიებაში მიუთითებთ საკადასტრო კოდს, ხოლო #257337, #504933 ბრძანებები, #513686 გადაწყვეტილება და თანდართული დოკმენტაცია უნდა ნახოთ tas.ge-ზე შემდეგ სამსახურის პასუხის მოძებნაში ჩაწერთ AR1102365, AR163967, AR1102356 განაცხადის ნომრებს და იხილავთ ინფორმაციას.
თუ სამსახურის მიერ გამოცემული აღნიშნული აქტები გაყენებთ ზიანს შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისი მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურს, ხოლო თუ აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისი მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.